

კანონი მეცარმათა შესახებ და საპორალის სამართლის ტარმიზობა საქართველოში

ლადო ჭანტურია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1993 წლის გაზაფხულზე, როდესაც მე სამეცნიერო სტაჟირების შემდეგ გერმანიდან საქართველოში დავბრუნდი, ბატონ სერგო ჯორბენაძეს მორიდებით ვუთხარი: “რა კარგი ჰქენით, ბატონონ სერგო, რომ სამოქალაქო სამართალში სახელმძღვანელო არ გამოვით-მეთქი”! ბატონმა სერგომ გაიღიმა და ჩვეული იუმრით მიჰასუხა: “როგორ შეიძლებოდა სახელმძღვანელოს დაწერა სამოქალაქო სამართალში, როცა სამოქალაქო სამართალი არ გვქონდა”. ამ მწარე სიმართლის თქმა შევძლო მხოლოდ დიდ მეცნიერის, ჰუმანისტსა და მოაზროვნებს, რომლის თვალსაწიერიც არასდროს შემოფარგლულა საბჭოთა სამოქალაქო სამართლით. სამოქალაქო სამართალი თავისუფალი საზოგადოების სამართლია,² რომლის უცხველი წინაპირობაც პიროვნების თავისუფლებაა. ამ თავისუფლების უფლებრივ, გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენენ: ინდივიდების თავისუფალი გადაადგილება, მეწარმეობისა და ვაჭრობის, ხელშეკრულებისა და საკუთრების თავისუფლება.³ ადამიანის, როგორც პიროვნების, როგორც ბუნებით თავისუფალი არსების გაგება მკაფიოდ გამოიხატება საკუთრებაში. საკუთრება, როგორც ადამიანის პიროვნულობის გამოხატულება, “მისი თავისუფლების გარეგნული სფერო”, კლასიკური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი პისტულატია.⁴ სწორედ ეს პრინციპები და ღირებულებები უარყო საბჭოთა წყობილებამ და შესაბამისად საბჭოთა სამართალმა. ამიტომ საბჭოთა სამოქალაქო სამართლი მხოლოდ რუდიმენტიდა იყო იმ სამოქალაქო სამართლისა, რომელიც თავისუფლების იდეის მატარებლად მოვლინა მეცნიერებულ საუკუნის დასავლეთ ეკრობას.

თუ საბჭოთა სამართლის ნისტემაში სამოქალაქო სამართალი ფორმალურად მაინც არსებობდა⁵, საკორპორაციო სამართალი⁶ მისთვის სრულიად უცხო იყო. ამის ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ საბჭოთა ეკონომიკა, თუ არ ჩავთვლით ფორმალურად ქოპერაციულ საწარმოებს – კოლმერნეობებს, მოლაბად სახელმწიფოს ხელში იყო.⁷ ვინაიდან არ არსებობდა ეკონომიკა, არც კერძო სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს იცნობდა

საბჭოთა სამართლი ოცდათიანი წლებიდან მოყოლებული⁸.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში გარდაქმნის პროცესის დაწყებასთან ერთად წინა პლაზე იწევს კერძო ინიციატივის გაძლიერებისა და გაფართოების ტენდენცია. ოფიციალური ხელისუფლება ამის უპირველეს გამოხატულებად მიიჩნევს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა⁹ და კომპერაციის განვითარებას.¹⁰ ამ პერიოდის საბჭოთა სინამდვილისათვის უცხოა ისეთი წმინდა კაბიტალისტური საწარმოები, როგორიცაა სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები¹¹.

კანონი, რომელმაც საქართველოში სამართლებრივად პირველად განამტკიცა სამეწარმეო საზოგადოებები, იყო კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1991 წლის 25 ივლისს.¹²

კოდიფიკაციის აუცილებლობა. მიუხვდავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონში ზოგადი სახით განამტკიცა სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, იგი დაბალი დონის კანონი იყო: მას პრეტენზია ჰქონდა მთლიანად მოწევსრიგებინა სამეწარმეო საქმიანობა. ამიტომ მასში თავმოყრილი იყო როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებიც. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ აუცილებელი გახდა ცალკე კანონქვემდებარე აქტების მიღება.¹³ ეს, რა თქმა უნდა, ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების არასტაბილურობას იწვევდა. ამან კი განაპირობა აუცილებლობა სრულყოფილი კოდიფიკაციისა, რომელსაც უნდა შეექმნა რეალური სამართლებრივი საფუძველი.

მეწარმეთა შესახებ კანონის იდეა პირველად დაიბადა 1993 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე სამოქალაქო კოდექსის კომისიაში¹⁴ მუშაობის პროცესში. კერძოდ, კომერციულ იურიდიულ პირებზე დისკუსიის დროს გერმანელმა იურისტებმა (პრფესორი როლფ კნიპერი ბრემბიდან და ადვოკატი ჰარტმუტ ფრომი ფრანკფურტიდან) წამოაყენეს შესაზრება კომერციული (სამეწარმეო) იურიდიული პირების შესახებ ერთიანი კანონის შემუშავების თაობაზე, რომელსაც მომავალში სავაჭრო კადექსიც უნდა შეეცვალა. იმ დროიდან მოყოლებული ქართველი და გერმანელი იურისტების ერთობლივი ინტენსიური მუშაობის შედეგად შეიქმნა კანონი მეწარმეთა შესახებ¹⁵.

სავაჭრო კოდექსი წარმოიშვა მე-19 საუკუნის დასავლეთ ევრო-

პაში. ამ ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობებში ვაჭრები (კომერსანტები) უდიდეს როლს თამაშობდნენ. ამიტომ მათი სამართლებრივი მდგრამარეობის მოწესრიგება კანონმდებლის მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. ამის შედეგად შეიქმნა სავაჭრო კოდექსები ჯერ საფრანგეთში, ხოლო საუკუნის ბოლოს გერმანიაში. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკურ ურთიერთობებში სულ უფრო მზარდ როლს თამაშობენ ისეთი კაპიტალური საზოგადოებები; როგორიცაა საჭურიო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. მათი სამართლებრივი მოწესრიგება სავაჭრო კოდექსებში შეუძლებელი იყო. ამიტომ წარმოიშვა ცალკე კანონების მიღების აუცილებლობა. ასე შეიქმნა სააქციო კანონები და კანონები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ.¹⁶ ზოგმა ქვეყანამ ეს საზოგადოებები სამოქალაქო კოდექსებში განამტკიცა და იქ მოაწესრიგა (მაგ. შვეიცარია). ასეთივე მოწესრიგების მცდელობა იყო საქართველოს სსრ 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსშიც.

მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე დაგროვდა უზარმაზარი გამოცდილება, რომელიც შესაძლებელს ხდიდა შექმნილიყო ერთიანი ნორმატიული აქტი ამ სუბიექტების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. მით უმეტეს, რომ სრულიად სამართლიანად იქნა დასაბუთებული უცხოეთში მოქმედი ცალკეული კანონების იმპორტის უაზრობა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.¹⁷ სასისარულოა, რომ ეს გამოცდილება ყველაზე კონცენტრირებული სახით ქართულ კანონში გამოიხატა¹⁸.

ჩვენში ხშირად ამბობენ, თითქოს ეს არის გერმანული კანონი. ეს შენიშვნა არასწორია. ამის თაობაზე 1994 წლის 25 ოქტომბერს საპარლამენტო დისკუსიაში მონაწილეობის დროს იუსტიციის მინისტრმა თელო ნინიმექ აღნიშნა — ეს არის ქართული კანონი. მის შეგავს ერთიან აქტს გერმანიაში ვერ ნახავთ, დასავლეთ ევროპის ვერც სხვა ქვეყანაში. მეწარმეთა კანონი არის ქართული კანონი, რომელშიც გამოყენებულია იმ ქვეყნების ცოდნა და გამოცდილება, რომელთა შეგავსის აშენებაც მიზნად დავისახეთ. ეს არის გერმანულ მეცნიერებით თანამშრომლობაში შექმნილი ქართული კანონი. იგი გმიარება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციას, მის ძირითად პრინციპებს, რომელთაგან ზოგიერთს ორ ათასწლოვანი ისტორია აქვს და რომის სამართლიდან მომდინარეობს¹⁹.

კანონის სახელწოდებაც აზრთა ხანგრძლივი ურთიერთჭიდილის შედეგად გადაწყდა. თავდაპირველად კანონის პროექტს ეწოდა “კანონი სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ”. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ინდივიდუალური შეწარმე არ წარმოადგენდა “საზოგადოებას”, მაგრამ

თურიდიული ფიქციის დაშვების გზით კანონის ავტორები ცდილობდნენ ეს ხარვეზი ამოვესოთ. აღტერატიულ სახელწოდებად აირჩა „კანონი საწარმოთა შესახებ“. ამ დასახელებით წარედგინა იგი პარლამენტს და პირველი კითხვით მიიღეს კიდევ 1994 წლის ზაფხულში.

1994 წლის 15 ივნისს ქალაქ ბრეժენში გაიმართა საერთაშორისო თურიდიულ-სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა „პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში სამოქალაქო და სამეურნეო სამართლის რეფორმის“ პრობლემებს.²⁰ ამ კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეტმო აღნიშნულ კანონპროექტს. ითქვა, რომ წარმოდგენილი კონცეფცია სადაცოა. კერძოდ საკითხი შეეხო იმას, თუ რას წარმოადგენდა საწარმო? იყო იგი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი თუ სუბიექტი? მრავალი დისკუსიისა და კამათის შემდეგ ქართველი იურისტები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ კანონს უნდა დაუკვას კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამის მთავარი არგუმენტი (და აღბათ ყველაზე დამაჯერებელი) ის იყო, რომ კანონი აწესრიგებს სწორედ მეწარმეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და განსაზღვრავს მათ სტრუქტურას.

იყო სხვა წინადადებებიც. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ კანონს უნდა დარქმეოდა „მეწარმეობის შესახებ“, სხვები მიიჩნევდნენ, რომ მისი სახელი უნდა ყოფილიყო „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“. ვფიქრობ, რომ ორივე ეს მოსაზრება სრულიად საფუძვლიანად იქნა უარყოფილი: პირველი, მეწარმეობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ამ კანონით მოწესრიგებული ურთიერთობა. ფაქტორულ მეწარმეობის პროცესში გამოიყენება ყველა ის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსშიც განმტკიცებული; მეორე მეწარმეობა, სამეურნეო საქმიანობა გულისხმობს ასევე საჯარო-სამართლებრივ (ე.ი. სახელმწიფო სამართლებრივ, აღმინისტრაციულ-სამართლებრივ, საგადასახადო-სამართლებრივ და ა.შ.) ურთიერთობებსაც, მაგალითად, ლიცენზიების გაცემა, საგადასახადო პოლიტიკა და ა. შ. კანონი კი მხოლოდ ამ ურთიერთობის მონაწილე მეწარმეების სამართლებრივი ორგანიზაციით შემოიფარგლება. ამიტომ ვფიქრობ, რომ კანონის სახელწოდება სწორადაა შერჩეული.

მწვავე საპარლამენტო დებატების შემდეგ 1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო კანონი მეწარმეთა შესახებ. ქართული სამართლის ისტორიაში ესაა კერძო სამართლის პირველი კანონი, რომელიც კოდიფიკაციის ხარისხით საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა შესრულებული. იგი ქართული სამართლის

უდიდესი მონაპოვარია. ამავე დროს, კონტინენტური უვროპის სამართლებრივი ტრადიციის გაყრძელება და მისი ხორცებსხმაა. ამ კანონით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარებას.

კანონის სიახლე შეიძლება რამდენიმე ასპექტით განვიხილოთ.

ჯერ ერთი, კანონშემოქმედების თვალსაზრისით ესაა პირველი კოდიფიცირებული აქტი, რომელმაც ერთიან სისტემაში მოქმედი სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა; შეუქმნა მას ზოგადი ნაწილი, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, საერთო ყველა სამეწარმეო სუბიექტისათვის;

მეორე, მეწარმეთა ურთიერთობის სფეროში წარმოშობილი საკითხების სამართლებრივი რეგლამენტაციის ხარისხით იგი არის კერძო სამართლის პირველი კანონი საქართველოში. ადრე მოქმედი კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ უფრო პოლიტიკურ-საჯარო ხასიათის აქტი იყო, ვიდრე კერძო სამართლის კანონი. მასში განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რეგლამენტაცია სამთავრობო დადგენილებებით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით სდებოდა. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, რომელშიც კანონის უზნაესობა აღარიცხული, ამგვარი რამ მიუღებელია: მეწარმეთა სტატუსი კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და არა კანონქვემდებარე დოკუმენტებით;

მესამე, ინვესტორები თავიანთი თავშეკავების მიზეზად საკანონმდებლო ბაზის უქონლობას თვლიდნენ. ამ კანონით ეს ხარვეზი გამოსწორდა. თუმცა ზოგი პოლიტიკოსის აზრის საპირისპიროდ, კანონი არ უქმნის ვინმეს პრივილეგიას. შეხედულება უცხოელი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის შედავათების მინიჭების შესახებ მცდარი მგონია. სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს საკუთარი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის რეალური სამართლებრივი საფუძვლის შექმნა და მისი უზრუნველყოფა.

სრულყოფილი და უნაკლო კანონი ჯერ არავის შეუქმნია. ცხადია, რომ არც მეწარმეთა კანონია გამონაკლისი. ცხოვრება ბევრ ისეთ საკითხს წარმოშობს, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა კანონში. დროთა განმავლობაში კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა ამ ხარვეზებს გამოასწორებს. ასე იყო ეს თითქმის ორსაუკუნვან ფრანგულ სამოქალაქო კოდექსთან, საუკუნოვან გერმანულ სამოქალაქო კოდექსთან.

მიუხედავად ამისა, კანონი მეწარმეთა შესახებ ქართული მართლშეგნებისათვის შაინც ასალი ქმნილებაა. მასში განმტკიცებული ბევ-

რი დებულება სრულიად უცხოა ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისათვის. მაგრამ შიში ახლის დანერგვის წინაშე არ უნდა გახდეს ხელისშემძლელი ფაქტორი პროგრესისათვის.

ე.წ. კერძო სამართლის დეალიური სისტემის შესახებ. კონტინენტური ევროპის სამართლის წრის წარმომადგენელი იმ ქვეყნების დახასიათებისას, რომელთაც სამოქალაქო და საკაჭრო კოდექსებიც აქვთ ერთდროულად, საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში მიმართავდნენ ე.წ. დეულური სისტემის ცნებას.²¹ მასში გულისხმობლენენ ორგან სამართლებრივ რეგულირებას – სამოქალაქო კოდექსის დონეზე და საკაჭრო კოდექსის დონეზე. გარდა წმინდა თეორიულ-დოგმატური მნიშვნელობისა, ამგად დაყოფას სხვაგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონია. სამაგიეროდ ამ კლასიფიკაციიდნ პოსტსაბჭოთა სამართლში დამკვიდრდა სრულიად მცდარი და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიუღებელი კონცეულია კანონთა იერარქიის შესახებ. მის თანახმად კანონთა სისტემაში კოდექსს (განსაკუთრებით სამოქალაქო კოდექსს) უფრო მაღალი ადგილი უკავია, ვიდრე სხვა კანონებს; ყველა კანონი უნდა შეესაბამდოდეს სამოქალაქო კოდექსს.²² ამ შეხედულების წარმომადგენლები (მათ მიეკუთვნება თითქმის ყველა ყოვილი საბჭოთა ცივილისტი) სამოქალაქო კოდექსს ხშირად ეკონომიკურ კონსტიტუციასაც უწოდებენ.²³ პრაქტიკულად ეს იწვევს სამოქალაქო სამართლის სხვა კანონების როლის დაკინებას. სამოქალაქო კოდექსებს კი უწინდებათ ყოვილისმოცველი აქტის პრეტეზია, რასაც შედეგად მოჰყვება კოდექსების გადატვირთვა საცნობარო ხასიათის დებულებებით.²⁴ საბოლოო ჯამში კოდექსებს შერჩებათ ზოგადი დებულებები, ხოლო პრაქტიკისათვის რეალური მნიშვნელობის მქონე ნორმები თავს იყრის “მეორეხარისხოვან კანონებში”²⁵.

ქართველმა კანონმდებლებმა უარი თქვეს ამგვარ არასწორ საკანონმდებლო ტექნიკაზე და მეწარმეთა შესახებ კანონის დებულებები აღარ გაიმეორეს სამოქალაქო კოდექსის პროექტში. პრაქტიკულად ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსსა და მეწარმეთა შესახებ კანონს შორის კოლიზია არ იქნება.

საწარმოს ცნება. საწარმოს ცნება ამ კანონის ერთ-ერთი ფუძემდებლური ცნებაა. კანონის სახელწოდებასთან დაკავშირებული ბევრი დისკუსია უმთავრესად ამ ცნებით იყო განპირობებული. რა არის საწარმო? არის იგი სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი თუ ობიექტი? ერთი შეხედვით იგი მხოლოდ თეორიული მნიშვნელობის საკითხია, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში არ ასრულებს რაიმე გადამ-

წევეტი როლს. თუმცა საპარლამენტო დისკუსიების დროს მან აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კანონის პროექტის ერთ-ერთ ვარიანტში წარმოდგენილი იყო საწარმო, როგორც ურთიერთობის სუბიექტი, მეორე ვარიანტში - როგორც ობიექტი. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, რომ კანონმა ყველაზე სწორი კონცეფცია აირჩია: საწარმო არის პირთა და ნივთების ორგანიზაციულ-კონომიკური ერთიანობა. საწარმოს მიერთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც. გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობები, საწარმოო საიდუმლოებანი. საწარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებსა (მაგალითად, მიწის ნაკვეთები), ძირითადი საშუალებები, ქარხნები, ფაბრიკები, ავტომანქანები, საქონელი, ნაღდი ფული და ა.შ.) და უფლებებს (კერძოდ, მოთხოვნები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და ა.შ.), აგრეთვე ვალდებულებებს.

საწარმო არ არის მეწარმის იდენტური. თუმცა კანონი მას სამართლის სუბიექტადაც მიიჩნევს (2.5 მუხლი). იმავდროულად საწარმო არც სამართლის დამოუკიდებელი ობიექტია²⁶. საწარმო ურთიერთობებში გამოდის როგორც პირთა, ნივთებისა და უფლებების ორგანიზებული კონომიკური ერთიანობა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გასხვისდეს, იჯარით გაიცეს და ა.შ.

საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმა. იგი ერთდროულად არის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე ამ ურთიერთობათა ობიექტიც.

ამ გაგებით გამოიყენება მეწარმეთა კანონში საწარმოს ცნება. თუმცა ეს არ გამორიცხავს სამართლის სხვა დარგებში საწარმოს განსხვავებული ცნების გამოყენებას, მაგალითად, შრომის, საგადასახადო, საფინანსო და ა.შ. სამართალში.

საწარმოთა *numerus clausus* პრინციპი. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრისას კანონი მიმართავს კუთხის კლასის კანონის მიმართავს: სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხროლოდ ის ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში. მეწარმეთა შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძლების შესახებ არ იცნობდა ამ პრინციპს. მართალია, იგი მე-11 მუხლში განამტკიცებდა საწარმოთა ათ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ შესაძლებელი იყო სხვა ფორმის საწარმოებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ამ ათი ფორმიდან ოთხი ხელოვ-

ნურად იყო შეტანილი კანონში და უფრო „განმანათლებელი ნორმის“ სახეს ატარებდა. კერძოდ, ეს შეეხება ერთი პირის საწარმოს, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ასაწარმოს. ამ ფორმით მათი განმტკიცება კანონში არაკორექტული იყო. მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამოქალაქო სამართლისათვის ისეთივე პირია, როგორც ნებისმიერი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამიტომ მას სრულიად ბუნებრივად შეუძლია დაარსოს იურიდიულ პირთათვის ნებადართული ნებისმიერი ფორმის სამეწარმეო საზოგადოება (კს, შპს და ა.შ.). რაც შეეხება ერთი პირის საწარმოს, იგი კანონის მიხედვით იყო შპს-ს ნაირსახეობა, თუმცა პრაქტიკაში მან დამახინჯებული ფორმა შეიძინა, რამეთუ ერთ პირს არ ჰქონდა შპს-ს დაარსების უფლება. მის მიერ დაარსებულ საწარმოს აუცილებლად ერთი პირის საწარმო უნდა რქმდეთ. მეწარმეთა შესახებ კანონმა გამოასწორა ეს ხარვეზი და ერთ პირს მისცა შპს-სა და სს-ის დაარსების უფლება ისე, რომ ამ შემთხვევაში სრულიად არ არის სავალდებულო მითითება იმაზე, რომ ეს არის ერთი პირის საწარმო. ხელოვნური იყო საწარმოთა ცალ-ცალკე დაყოფა სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოებად. საქართველოში დღეს მოქმედი მმართველობის ადგილობრივი ორგანიზაციის სახელმწიფო ორგანოებია. ამიტომ მათ მიერ შექმნილი საწარმოები (რომლებიც მომავალში დაუქვემდებარებიან მეწარმეთა კანონის 2.3 მუხლს) სახელმწიფო საწარმოებია. იურიდიულად მათ შორის რაიმე განსხვავება არ არსებობს. კანონი მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს საწარმოთა ექვს თრგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

ინდივიდუალური საწარმო არის ერთი პირის, როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური პირის, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმა. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში მეწარმე გამოდის, როგორც ფიზიკური პირი, საკუთარი სახელით (2.2 მუხლი). ფიზიკური პირის არა ყოველგვარი საქმიანობა ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად და, აქედან გამომდინარე, მისი არა ყოველი აქტიურობა მიიღებს საწარმოს ფორმას. მაგალითად, საკუთარი ან სხვისი მანქანის გამოყენება ტაქსად ან ტვირთის გადასაზიდ საშუალებად არ ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად, თუ ამ მანქანის გამოყენებელს არა აქვს „სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე“ (2.2 მუხლი). ეს

გულისხმობს შემდეგს: ფიზიკური პირი რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში. ამისათვის საქმარისია გვარისა და სახელის ჩაწერა და აღნიშვნა, რომ პირი არის ინდივიდუალური მეწარმე. მას უნდა ჰქონდეს სათანადო საბუღალტო ჩანაწერები.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სპს ერთ-ერთი ძეგლი და მეტად გავრცელებული სავაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. მას იცნობს დასავლეთის ყველა ქვეყნის სამართალი. გერმანიაში მას ეწოდება Offene Handelsgesellschaft და მისი სამართლებრივი ძღვო-მარეობა განმტკიცებულია გერმანიის სავაჭრო სჯულდებაში. საფრანგეთში ამ საზოგადოების სახელწოდებაა societe en nom collectif და მოწესრიგებულია სავაჭრო კოდექსითა და 1966 წლის 24 ივლისის კანონით სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ. ინგლისის 1890 წლის კანონი ამხანაგობათა შესახებ ამ საზოგადოებებს უწოდებს Partnership. რუსეთის კანონმდებლობა მას იცნობს პილიე თოვარიშესტვო-ს სახელით²⁷.

ვფიქრობ, რომ მეწარმეთა კანონმა, განსხვავდებით ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სამართლისაგან, სწორი სახელწოდება შეარჩია. განმსაზღვრელი ამ ტიპის საზოგადოებებში არის: პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე. ამიტომ შინაარსის ძირითადი ელემენტი სამართლიანად იქნა აღბეჭდილი საზოგადოების დასახელდებაში.

კანონის 20.1 მუხლის შესაბამისად, სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები - უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუძლებად მთელი თავისი ქონებით.

კომანდიტური საზოგადოება. კს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმაა. გერმანიის სავაჭრო სჯულდება მას იცნობს Kommanditgesellschaft-ის სახელით, ფრანგული სამართალი მას უწოდებს societe en commandite -ს, ინგლისის 1907 წლის კანონით მას ჰქვია limited partnership. რუსული კანონმდებლობის გავლენით სამეწარმეო საქმიანობის საფუძლების შესახებ კანონმაც გაითვალისწინა შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა (მუხლები 11, 14). თუმცა დეტალური სამართლებრივი მოწესრიგება ქართულ სამართალში მას მეწარმეთა შესახებ

კანონის მიღებამდე არ ჰქონია.

კანონის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პარტნიორული პასუხისმგებელი პარტნიორები - კომპლექტარები).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს-ს, როგორც მეწარმეთა ორგანიზაციის ფორმას, არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც მაგალითად, სპს, კს ან სს. იგი პირველად შეიქმნა გერმანული კანონმდებლობის მიერ 1892 წელს ისე, რომ მას ისტორიული ანალოგი ან წინამორბედი არ ჰყოლია. შპს-ების წარმოშობა ორმა გარემოებამ განაპირობა: პირველი, ეს იყო სს-ათა დაარსების რთული პროცედურის შეცვლა უფრო ლიბერალურით; მეორე, იყო პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პირთა გაერთიანებების ისეთი ფორმები, როგორიცაა სპს ან კს, ბევრი უარს ამბობდა მათში მონაწილეობაზე, ვინაიდან არ სურდათ მთელი პირადი ქონება ყოფილიყო კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის ობიექტი. ამანაც განსაზღვრა შპს-ის დამკვიდრება სავაჭრო სამართალში²⁸.

გერმანელების მიერ შექმნილი სამეწარმეო საზოგადოებათა ეს ფორმა, რომელსაც ორიოდე წლის წინ ასი წლის იუბილე გადაუხადეს, თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად თვლიან შპს-ების მომწესრიგებელი სამართლის ნორმების უფრო მეტ დისპოზიციურობას სააქციო საზოგადოებებთან შედარებით²⁹. გერმანულ სამართლებრივ მას პევია Gesellschaft mit beschränkter Haftung - GmbH; ფრანგულ სამართალში მას ეწოდება societe a responsabilite limitee. შპს-ის პირდაპირი ანალოგი ინგლისურ სამართალში არ არსებობს. ამიტომ მას ხშირად უდარებებ ე.წ. კერძო კომპანიებს - Private company, close corporation³⁰.

შპს-თა სამართლებრივი სტატუსი საქართველოში პირველად განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონში (მე-11 და მე-15 მუხლები) და მას ქართულ ენაზე მოკლე კომენტარებიც მიეძღვნა³¹.

კანონის 44-ე მუხლში განმტკიცებულია შპს-ს ლეგალური დეფინიცია: საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრე-

დიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ჩოლო პარტნიორების პასუხისმგებლობა - საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

სააქციო საზოგადოება. დასავლეთის ქვეყნებში სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, მსხვილი სამრეწველო და კომერციული საზოგადოებებია. მსოფლიოში ცნობილი ფირმები, როგორიცაა მერსედებენცი, ფორდი, ჯენერალ-მოტორსი და ა.შ. არსებობენ სააქციო საზოგადოებების ფორმით.

სააქციო საზოგადოება არის ახალი ეპოქის, კოლონიალიზმისა და სამრეწველო რევოლუციის პირში. შპს-საგან განსხვავებით ის არ არის კანონმდებლობის ხელოვნური ქმნილება. სააქციო კანონმდებლობა მხოლოდ სააქციო საზოგადოებათა შექმნისა და განვითარების შედეგად წარმოიშვა. სააქციო საქმე ეკონომიკური ცხოვრების ხანგრძლივი განვითარების შედეგია. ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ საზოგადოებას ერთ დღეს წარედგინა მზა მოდელი, ნიმუში სააქციო საზოგადოებისა. ამის გამო მეცნიერებაში დღესაც სადაცო საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იყო პირველი სააქციო საზოგადოებები³². თუმცა უმეტესობა პირველი სააქციო საზოგადოებების წინამორბედად მიიჩნევს St. Georgbank-ს გენუში და Ambrosiabank-ს მილანში (მე-15 საუკუნე), რომელთათვისაც უკვე დამახასიათებელი იყო პასუხისმგებლობის შეზღუდვა და წილების გადაცემის შესაძლებლობა. სააქციო საზოგადოების ადრეულ ფორმებად მიიჩნევენ სავაჭრო კომპანიებს (1600 წლიდან), კერძოდ, ბრიტანულ-აღმოსავლეთი ინდური და პოლანდიურ-აღმოსავლეთი ინდური სავაჭრო კომპანიები. თანამედროვე სააქციო საზოგადოებები კი გაჩნდა მხოლოდ მე-18 საუკუნეში და, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთში. ამბობენ, რომ თუ არა სააქციო საზოგადოებები, სამთო საწარმოები, სამრეწველო ორგანიზაციები და, პირველ რიგში, რკინიგზა ვერასდორს ვერ გადავიდოდნენ კერძო საფუძველზე³³. თუმცა თანამედროვე პირობებში სააქციო საზოგადოებებს დიდი კონკურენცია გაუჩნდა შპს-ების სახით. მაგალითისათვის, გერმანიაში ერთ სს-ზე მოდის 150 შპს.

დასავლეთის ყველა მართლწესრიგი განამტკიცებს სააქციო საზოგადოებებს, როგორც სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას. ფრანგულ სამართალში მას ქმოდება societe anonyme, გერმანულში - Aktiengesellschaft, ინგლისურ სამართალში - Corporation და ისინი მოქმედებენ როგორც კერძო კაპიტალისტური, ასევე სახელ-

მწიფულ-კაპიტალისტური საქართველოს სახით³⁴

პოსტკომუნისტური საქართველოს სამართლში პირველად სააქციო საზოგადოების ცნება შემოვიდა სამეწარმეთ საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის მიღებით. შემდგომ მთავრობის დადგენილებით განმტკიცდა სააქციო საზოგადოებათა სამართლებრივი მდგრადარცება³⁵.

მეწარმეთა კანონი სააქციო საზოგადოებას ერთ-ერთ ძირითად სამეწარმეო საზოგადოებად მიიჩნევს და 51.1 მუხლში განამტკიცებს მის ლეგალურ დეფინიციას: სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქციებად დაყოფილი საწესდებლი კაპიტალი.

კოოპერატივი. ისტორიულად კოოპერატივები მე-19 საუკუნეში წარმოიშვნენ. ისნით ნაყოფია კაპიტალიზმის განვითარებისა უკონკრეტული კოოპერატივების წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო ოფიციალური და მიზანს შეადგენლა მასში გაერთიანებული წევრების მოთხოვნილებათა და კმაყოფილება. ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები ინგლისში (1827, 1844 წლებში), გერმანიაში რაიფაიზენის კოოპერატივი (1871) და ა.შ.³⁶

კოოპერატივების ლეგალური დეფინიცია მრავალულია კანონის 60.1 მუხლში. საკოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადადების მიზნობრივი შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე³⁷.

კანონი სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეებს ანიჭებს თავისუფლებას საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევა სას რამდენიმე გამონაკლისის გათვალისწინებით: ა) სპს, კს და კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა მინიმუმ ორი პირის არსებობა; ბ) შპს და სს დასაარსებლად ასევე აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა; გ) სპს-ის პარტნიორი და კს-ში კომპლექნტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

2.4 მუხლი ითვალისწინებს კიდევ ერთ შეზღუდვას: საწარმო, გარდა კოოპერატივებისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით ეს ნორმა ნაკარანახვია ეკონომიკური პოლიტიკის მოტივებით. ივარაუდება, რომ ორმოცდაათი პარტნიორის არსებობა მოგებაზე ორიგინტირებულ საზოგადოებებში ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დიდი კაპიტალის მქონე

საწარმოსთან, როგორიც აუცილებლად საქციო საზოგადოების ფორმით უნდა არსებობდეს. მშპრატიული ხორმების როლი აქ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ფორმის საზოგადოებაში.

გარდა 2.1 მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებისა, შეიძლება ასევე არსებობდეს სახაზინო (სახელმწიფო) საწარმოები. როგორც წესი, ისინი იქნება სახელმწიფოს მიერ ისეთი ამოცანების შესრულების მიზნით, რომლებიც აუცილებელია ქვეყნისა და საზოგადოების ნორმალური არსებობისა და განვითარებისათვის. ამ სფეროებს მიეკუთვნება ტექინიკა, ფოსტა-ტელეკუმუნიკა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში სახაზინო (სახელმწიფო) საწარმოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სახელმწიფო ამ შპსრული ადგილობრივი ორგანო. ეს ორგანო განსაზღვრავს საწარმოს საქმიანობის პროცესს, მართვის ორგანოებს, ნაშავს და რეეტორს, განსაზღვრავს მის უფლება-მოვალეობებს და ა.შ.

ასეთი საწარმო წარმოადგენს იურიდიულ პირს და ურთიერთობებში კამოდის საქუთარი საფირმო სახელმწოდებით. საფირმო სახელმწოდებას განსაზღვრავს ამ საწარმოს შექმნელი ორგანო. სახაზინო საწარმო სამეწარმეთა რეესტრში შეიტანება ამ სახელმწოდებით.

სახაზინო საწარმოთა სპეციფიკური ფორმაა. ამიტომაც არ შედის იგი ტიპიური საწარმოების ჩამონათვალში (2.1 მუხლი). თუმცა მისი გარდაქნა 2.1 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სამეწარმო საზოგადოებად დასაშვებია. ამისათვის საჭიროა იმ ორგანოს ვადაწყვეტილება, რომელის მიერაც შეიქმნა ეს საწარმო. მეორე აუცილებელი პირობა ამგვარი რეორგანიზაციისათვის ისაა, რომ სახაზინო საწარმო რეესტრირებული იყოს სამეწარმეო რეესტრში (2.3 მუხლის ბოლო წინადადება)³⁷.

პარტნიორის ცნება. პარტნიორი არის ერთ-ერთი სამეწარმეო საზოგადოების წევრი (მონაწილე), რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ. „პარტნიორი“ არის კრებითი სახელწოდება იმ პირებისა, რომლებიც შეიძლება იყვნენ საზოგადოების დამფუძნებლები ან მოვაინებით შემოვიდნენ საზოგადოებაში³⁸.

ვინ შეაძლება იყოს პარტნიორი? პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც.

ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი. ადრე მოქმედი კანონ-

მდებლობისაგან განსხვავებით კანონი არ პყოფს ფიზიკურ პირები მოქალაქებად ან არამოქალაქებად, უცხოელებად ან არაუცხოელებად კანონის კოცეფურია, რომ პარტნიორი შეიძლება იყოს ჩემისახმა ფიზიკური პირი მოუხდავად მოქალაქებისა, სქესისა, კანის ფერისა, ასაკისა და ა.შ. ეს კანონის უდიდესი მონაპოვარია, ვინაიდან იგი გათვისუფლდა იმ უზრიო ნახევრადპოლიტიკური დეფინიციითაგან. რომლებიც უხვად იყო ადრე მოქმედ კანონმდებლობაში¹⁹

ამრიგად, პარტნიორი შეიძლება იყოს უცხოელი მოქალაქეც და მოქალაქების პირები პირი და მას რაიმე საეკიალური წესართვის აღდა ამისათვის არ სჭირდება. ეს არის ურთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც ხელს უწყობს უცხოურ ინვესტიციებს და ონებარ პირობებში აყნებს მათ ქაროველ მეწარმეებთან ერთად.

ჩემი აზრით, არაწორია საქართველოში განვცხულებული შეხდულება, რომლის მიხედვითაც უცხოელ ინვესტორების უნდა პქანდეთ უპირატესობა ქართველ ინვესტორების შედარებით ეს აზრი ზეჯობრივი თვალსაზრისითაც სადაცოა: რატომ უნდა მიენიჭოს უცხოელს შეჯავათი და უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდეს საჯუთარი ქვეყნის წარმომადგენელი. უცხოელ ინვესტორებს ზუსტად ისეთივე პირობები უნდა ჰქონდეთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებსა თუ იურიდიციულ პრებს და ეს პირობები თანაბრად ხელსაყრელი უნდა იყოს სამეცნიერო საქმიანობისათვის.

პარტნიორი შეიძლება იყოს ასევე არასრულწლოვანი პირიც. სრული ქმედუნარიანობის დაღვიმამდე მისი უფლება-მოვალეობები ვანხურციელდება მათი წარმომადგენლების მიერ. პარტნიორი, პირველ რიგში გამოსაზავს მესაკუთრის მონაწილეობას სამეცნიერო საზოგადოებაში ამიტომ ასაკი აქ განმასხლვრელი არ არის. სელ სხვად დირექტორთაც (ე.ი. მმართველად, მენეჯერად) არჩევის საკითხი. აქ სრულ ქმედუნარიანობასთან ერთად სხვა პირობებიც უნდა იყოს სახეზე.

პარტნიორი შეიძლება იყოს ყოველი იურიდიციული პირიც. მხოლოდ კანონი აქ გარევალ შეზღუდვებს აწესებს: იურიდიციული პირი ან შეიძლება იყოს სპს-ის პარტნიორი და კს-ის პრისტნალურიად პასუხისმგებელი პარტნიორი (კომპლემენტარი).

ის საწარმო, რომელშიც ორმოცდათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ეს წესი არ კოცელდება კოოპერატივებზე. ამის მიზნები ისაა, რომ კოოპერირების მნიშვნელოვანი პრინციპი არის წევრთა გუსაზღვრელი რაოდენობის დაშვების შესაძლებლობა.

პარტნიორი შეიძლება იყოს ასევე სახელმწიფოც. ამ შემთხვევა-

ში იგი არაფრით განსხვავდება სხვა კერძო პირებისაგან. მისი სამართლებრივი მდგრამარქობა სამეწარმეო საზოგადოებაში განისაზღვრება მისი წილის ოდენობით. სამეწარმეო საზოგადოებების დაფუძნების დროს ან მისი საქმიანობისას სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენენ მისი ორგანოები, მაგალითად, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და ა.შ. ეს უძანასენელები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, როგორც ეს ხშირად გავრცელდებულია თანამდებობის პირთა წარმოადგენებში.

კანონის 2.5 მუხლი განსაზღვრავს საკორპორაციო სამართლის ურთერთ ფუნქციურობის პრინციპს: საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულობა.

რეგისტრაციის ცნება. რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში (მაგალითად, სამეწარმეო რეესტრში). როგორც წესი, რეგისტრაციას ორგანიზ მნიშვნელობა აქვს: ერთი, როგორც ფაქტის, მოვლენის აღნიშვნისა და მორე, იურიდიული მნიშვნელობა. კანონი მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს სწორჯე მფრიდავ სახის რეგისტრაციას: რეგისტრაციას აქვს გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა: სამართლებრივი რაღაც მოვლენა მხოლოდ რეგისტრაციას შედგად წარმოიშობა.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავდებს ორი ხაზის რეგისტრაციას: საწარმოს რეგისტრაცია და ხაწერმოს საქმიანობასთან დაკავშირდებული ფაქტისა და მოვლენების რეგისტრაცია. რეგისტრაციის პირკედი სახე განსაზღვრავს იმპერატიულ ნორმას: საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო (სახელმწიფო) რეესტრის ნაირსახეობა, რომელშიც აღირიცხება მეწარმეთა კანონით გათვალისწინებული ფაქტები და მოვლენები.

მომავალმა პარტნიორებმა შეიძლება განახორციელონ საწარმოს ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი ყველა მოქმედება: მოამზადონ წესდება, მოაწერონ ხელი მას. სანოტარო წესით დაადასტურონ იგი და ა.შ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საწარმო წარმოიშვა. ამისათვის აუცილებელია საწარმოს რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამდენად, კანონი რეგისტრაციას გადამწყვეტი იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

რეგისტრაცია არ არის ოვითმიზანი. მისი ძირითადი ფუნქციაა

საჯაროობის გზით დაიცვას მესამე პირები და კრედიტორები. ე.ი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მასალებს და გაიოს, თუ რა ქონების მესაკუთრეა საწარმო. ესე იგი, რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის პასუხისმგებლობის გარდაუვალობისა და ამ პასუხისმგებლობის მოცულობის ზუსტი ფიქსაცია.

რეალური ცხოვრება, რეალური ურთიერთობები ყოველთვის განსხვავდება სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ურთიერთობებისგან. ამიტომ ის, რაც დადგენილია კანონით, თავისითავად არ ნიშნავს, რომ უმჭველად შესრულდება. ე.ი. შესაძლებელია, რომ ზოგმა პირმა არ გაატაროს თავისი საწარმო რეგისტრაციაში. ამ დროს მთავარი პრობლემა არის კრედიტორების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მისი რეალურობის უზრუნველყოფა. სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონის თანახმად არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალული იყო: ასეთი საწარმოს შემოსავალი ამოიღებოდა სასამართლო წესით და შეიტანებოდა ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში (მუხლი 37). ახალმა კანონმა სრულიად სამართლიანდ თქვა უარი ამგვარ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმაზე და სამეწარმეო საქმიანობაში გაუმართობელ ჩარევაზე. ახალი კონცეფციის თანახმად არარეგისტრირებულ საწარმოთა საქმიანობა ადმინისტრაციული წესით არ არის აკრძალული. ეს არ შეესაბამება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს. თუმცა საგადასახადო სამართალი არარეგისტრირებული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს კვლავინდებურად ამოიღებს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მეწარმებს რეგისტრაციის გარეშეც შეუძლიათ საქმიანობა. ოღონდ კრედიტორების წინაშე ისინი პასუხს აგებენ არა როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, არამედ როგორც კერძო პირები. მაგალითად, სამმა პირმა გადაწყვიტა შექმნას შპს. შეადგინეს წესდება, მოაწერეს ხელი, დაამოწმეს სანოტარო წესით, მაგრამ არ გაუტარებიათ საზოგადოება რეგისტრაციაში. ამასობაში მათ საზოგადოების სახელით დადეს გარიგებები, რომლებიდანაც წარმოიშვა ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება კი არ აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე იმ პირინციპის მიხედვით, რითაც შპს აგებს პასუხს (ე.ი. მხოლოდ თავისი ქონებით), არამედ პარტნიორები. მაშასა-დამე, ამგვარი მოქმედებისათვის სამიცე ეს პირი პასუხს აგებს მთელი პირადი ქონებით პერსონალურად, შეუზღუდვულად როგორც სოლიდული მოვალეები (2.5 მუხლის მე-2 ამზადი). თუ დამეცანებლებმა ვალდებულების წარმოშობის შემდეგ გაატარეს საზოგადოება რეგის-

ტრანსკომის მართვისთვის კულავ პერსონალურად და პირადი ქონებით
ფულტონ ჰაუსის ამ გაღდებულებებისათვის. ამგვარად ეს პასუხისმგებ-
ლობა მაღამი რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

მთავარი პრინციპი. რომელიც საფუძვლად უდევს ამ წესს, მდგო-
მოვადნ იმაში, რომ სწორედ ქონებრივი ურთიერთობების მონაწილეები
უდა იუდენ დაინტერესებული მოიქცნენ კანონის შესაბამისად. ეს ის
შეზომვებაა. როცა კერძო ინტერესები და კერძო მიზნები კანონის ნორ-
მის შესრულების გარანტია ისე, რომ სახელმწიფოებრივი იძულება არ
არის აუცილებელი.

საწარმოთა სავალდებულო რეგისტრაციის წესი შეიძლება არ იქ-
ნეს გამოყენებული სახელმწიფო (სახაზინო) საწარმოების მიმართ. ეს
გასავალებიცაა: ნათელია, თუ ვინ დგას სახაზინო საწარმოს უკან. ესაა
სახელმწიფო, რომელიც პასუხს ავს თავისი საწარმოს ვალდებულე-
ბებისათვის.

სპს. ჭს. შპს. სს. კოოპერატივი და სახაზინო საწარმო წარმოად-
გებს იურიდიულ პირებს.

* იურიდიული პირის ცნება. იურიდიული პირის ცნების საკითხი
ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს სადავოა თანამედროვე
იურისპრუდენციაში. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა სრულ-
იურისპრუდენციას, თუ რა არის იურიდიული პირი. ამ მხრივ გამო-
ყოფილ დეფინიციას, თუ რა არის იურიდიული პირი. ამ მხრივ გამო-
ყიდის იყო საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამო-
ქალაქო კანონმდებლობის საფუძვები და მათ მიხედვით მიღებული
ქალაქო კანონმდებლობის სამოქალაქო კოდექსები. საქართველოს სა-
მოქალაქო სამართლის კოდექსის 22-ე პუნქტი იძლევა ასეთ ღმეაღმუნ
დეფინიციას: „იურიდიული პირი არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს
დეფინიცია: „იურიდიული პირი არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს
დეფინიცია: „შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს ქონებ-
განცალკევებული ქონება. შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს ქონებ-
რიგი ან პირადი არაქონებრივი უფლებები და იკასროს მოვალეობანი.
რიგის მოსარჩევე და მობანეულე სასამართლოში. არბიტრაჟში ან სამუ-
დიატორო სასამართლოში“.

მიუხედავად ამისა, იურიდიული პირის ცნება არც თუ ისე იშვია-
თად ბუნდოვანია და გაურკვეველი. ამ გარემოებას ისიც ართულებს,
რომ ზოგი ქვეყანა იურიდიულ პირად მიიჩნევს ისეთ ორგანიზაციებს,
რომლებსაც სხვა ქვეყნები ასეთად არ ცნობენ. მაგალითად, გურმანია
ლია სავაჭრო ამსახავობებს არ თვლის იურიდიულ პირად. ხოლო
საფრანგეთი აღიარებს ამ ამსახავობებს იურიდიულ პირად.

ამ წერილის მიზანი არ არის იურიდიული პირების შესახებ არსე-
ბული კონცეფციებისა და კოლეგიას ანალიზი. აქ შემოვიტარგლები

მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ „იურიდიული პირი“ არის ამსახურებული ცნება ადამიანთა იმ ორგანიზაციის გამოსახატავად, რომელიც შეიძლება იყვნენ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ე.ი. ფიზიკური პირების გარდა სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილე ორგანიზაციებს პირობითად ვუწოდებთ იურიდიულ პირებს.

ამავე დროს არსებობს ნიშნები, რომელებიც აღიარებულია იურიდიული პირის არსებობის აუცილებელ წინაპირობად.

1. იურიდიული პირი არსებობს დამოუკიდებლად და მოუჩვდავად ვასში შემავალ წევრთა ცვალებადობისა. ამ გაგებით იურიდიულ პირს განიხილავთ როგორც პიროვნებას, რომელსაც აქვს თავისი ნება და ეს ნება არ ემთხვევა მისი წევრების ნებას.

2. იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს თავისი ქონება, რომელიც გამოცალებულია წევრთა ქონებისაგან.

3. უცლება აქვს შეიძინოს, ისარგებლოს და განკარვოს საკუთრება, ასევე საკუთარი სახელით ვანახორციელოს კანონით ნებადართული მოქმედებები.

4. იყოს მოსარჩევე და მოპასუხე სასამართლოში.

5. იკისროს დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა (იუმცა ეს არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევებში მისი წევრების ქონებრივ პასუხისმგებლობასაც). ეს უკანასკნელი ნიშანი დამახასიათებელია სას-სოფის.

თავისთავად ამ ნიშნების არსებობა არ იწვევს ამა თუ იმ ორგანიზაციის აღიარებას იურიდიულ პირად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ ენიჭება ამ ფაქტის, ე.ი. იურიდიულ პირად აღიარების საკითხომდებლო რეგლამენტაციის. მეწარმეთა შესახებ კანონმა გაითვალისწინა დასავ-ლებოს ქვეყნების კერძო სამართლის ტენდენცია და მეწარმეთა კოდიქ-ტიური ორგანიზების ყველა ფორმა აღიარა იურიდიულ პირებად.

რა სიახლით გამოიჩინა მეწარმეთა კანონი იურიდიული პირების განსაზღვრის დროს? შევეცდები აქ ჩამოვაყალიბო ის მიზითადი საკონები, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ:

1. სას, ქს, შპს, სს, კოოპერატივი და სახელმწიფო (სახაზინო) საწარმო წარმოადგენ იურიდიულ პირებს. ეს ნიშნავს, რომ სხვა არც ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სამეწარმეთა საქმიანობის სფეროში არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. საქართველოში გავრცელდა ასეთი პრაქტიკა: სამეწარმეთა საზოგადოებების წესდებათა შემუშავებისას მასში წერდნენ, რომ ესა თუ ის საზოგადოება არის იურიდიული პირი. 1995 წლის 1 მარტიდან ეს წესი აღარ არის საჭირო. კანონმა თვითონ განსაზღვრა, თუ რომელი საზოგადოებებია

ոյրություն ձեռքից և հողուն աշխատ տեսն Ձեսկեն. յ. ե. նօմնազե, որով Ամեր Ռենդիջդժո սմէ աշխամզն. որու „Խանուցալոյթ առուս ոյրություն Ձեռն“, պատճ առուս ոյբություն.

2. საბჭოთა სამინისტრო სამართლში განმტკიცებული წესიდან გამომდინარე მოქმედებდა ე.წ. ორიენტიული პირების სპეციალური უფლებათა მართვის ინსტიტუტი, ეს ნიშნავდა, რომ ორიენტიულ პირების შექლით მხრიდან იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც პირდაპირ იყო აღნიშნული წესებიაში ან კანონში. სხვაგვარი მოქმედება მიზნებითა და მართლსაწინააღმდეგოდ. სამწერაოდ ეს წესი შენარჩუნებული იქნა საბჭოთა კავშირის დამხილის შემდეგაც. ამას მაკონტროლებული თრივანოგი ძორობულ იყენებდნენ: პასუხს აგებინებდნენ მეწარმეებს ისეთი საქმეებისათვის, რომელიც წესებით არ იყო გაოვალისტინებული. ამიტომ სამწერაო საქმიანობა პარადოქსული კურიოზით იყო ხავსე, მიუღილოთად, თუ წესებიაში არ იყო აღნიშნული, რომ საზოგადოებას ჰქონდა ბაზეტი ანგარიშის განსხის უფლება, მას ბაზეტი ანგარიშს არ უსწინდა, თუ წესებია არ განსაზღვრავდა, რომ საზოგადოებას ჰქონდა ნაფლი ან უნადღო ანგარიშისწორების უფლება, მას აკრძალული ჰქონდა ნაფლი უფლის გამოყენება საქმიან ურთიერთობებში და ა.შ.

მუწოდებელი განონმა უარი თქვა ამ მანიშვ მოვლენებზე: გააქცია
ოუნიდაული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობის ინსტიტუ-
ტი. კ.ი. სამეცნიერო (კომერციულ) ოურიდიურ პირებს უფლება
აქვთ განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ
ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს და კურძალული
ან არის განონით. ამით სამეცნიერო ორგანიზაციები გათავისუფლდნენ
ზუსტება, დაუსამუთებელი ზედამხედველობისგან, რასაც საკონტროლო
ორგანიზება ასრული ვლებდნენ მათ მიმართ.

კანის ხვევებით თურიდოული პირებისაგან, ინდივიდუალური მეწარმე ურთიერთობაში გამოდის როგორც ფიზიკური პირი.

კართული თავის წერილში, რომელიც საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსის შემუშავებას შეეხებოდა, ბატონი სერგო ჯორბეგი წერდა: “უაღრესად ძნელი ვითარების მიუხვდავად, ჩვენი თაობი კართველ ცივილისტებს გვხვდა ბედნიერება უკვე მესამე წელია, მოელ ძალის ჩმეული ჩავვესოვა ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავები საქმეში. ბევრ ქართველ ცივილისტს ენატრებოდა ეს დრო”⁴¹ ამ დროი ნაფიცია ჭარბოვდა საკორპორაციო სამართლი, რომელიც უდავოდ შექმნი ქართველი კრისა და საქართველოს სახელმწიფოს წინსვლისა და აუცილებელის კრისტონ სამართლებრივ საუფლებელის.

1. ბატონ სერგოს ხშირად საყვედურობდნენ, რომ ახეთმა დიდმა მუცინიგრძა სამოქალაქო სამართლაში სახელმძღვანელო არ დაწერა.
2. Карл Поппер. Открытое общество и его враги. М. 1992. С. 9.
3. Hedemann, Justus Wilhelm, Die Fortschritte des Zivilrechts im XIX Jahrhundert. Erster Teil. Berlin, 1910. S. 1 ff.
4. Гегель, Философия права. М. 1990. С. 101.
5. ოუმცა საბჭოთა სამართლის ისტორიაში იყო პერიოდი, როდენიც საბორი დაქი სამართლი ბურჟუაზიულ სამართლად იყო მონათლებდა და მის ნაც კლად იხმარებოდა „სამეურნეო სამართლი“. მიზოდ სრულიად არ არის შემთხვევითი, როცა პირველ საბჭოთა სახელმძღვანელოდ სამოქალაქო სამართლი მიმჩნევენ 1935 წელს გამოცემულ „Курс хозяйственного права“ ორ ტომად (Иоффе О.С. Развитие цивилистической мысли в СССР. Ленинград, 1975. С. 12).
6. სახელწოდება „საკორპორაციო სამართლი“ მე ივანე ჯავახიშვილისაგან ავიდე: „პარტული სამართლის ისტორია“, წიგნი I. o. ჯავახიშვილის შემცვევე ეს სახელწოდება ქართულ სამართლში თითქმის არავის გამოცემებით. 1994 წელს ვეცადე იგი კვლავ შემოტანა ქართულ იურისტულებულებაში: ლადო ჭაბუტიშვილი. უძრავი ნივთების საკუთრება. თბილისის უნივერსიტეტის ვალი-ცემლობა. 1994. გვ. 27. გერმანულ სამართლაში სამართლის ამ დარგის დრო-დაბადის Gesellschaftsrecht, ინგლისურად მას company law-ს უწოდებენ. როგორ ენაში იგი დამკიცდოდა როგორც პредпринимательское право: Пред- პრинимательское право. М., 1993. ვფიქრობ, რომ ეს ამ უნივ. იურის კორპუსში და, ვინაიდან სამეცნიერო სამართლი უფრო ფრთხოა, ვინაუ სამე- ცნიერო საქმიანობის მონაწილეობის სამართლებრივი მოწვევისაგან და მოიცავს საჯარო სამართლასაც. ამავე დროს, ცნობა კორпоративное право არც რესული სამართლის მცოდნებისთვისაა უცხო: „Корпоративное право – это система правил поведения, разработанных на предприятиях, в организациях, выражают волю ее коллектива и регулирующих различные стороны деятельности данной организации. Иначе корпоративное право можно назвать внутриорганизационным внутрифирменным правом“: Кашанина Т.В. Хозяйственные товарищества и общества: правовое регулирование внутрифирменной деятельности. М. 1995. с. 1. საკორპორაციო სამართლის თვირთვაზე განვალ იცნობდა 20-იანი წლების საბჭოთა იურისპრუდენციაც (Исаев И. А. Становление хозяйствственно-правовой мысли В СССР (20-е годы) М. 1986. С. 158-173.)
7. ამგვარ ისტორიულ უკუღმართობას საუზღვლად ლენინის ცნობილი წიგ- ვები დაედო: „ჩვენ არაფერს კერძოს არ ვცნობთ, ჩვენთვის შეუზნებლა-

სუვერენიტეტი არის საჯარო-სამართლებრივი და არა კური": Плотников А.А. Становление и развитие марксистско-ленинской общей теории права в СССР. Рига. 1978. С. 200-201.

8. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნების შემდგომი პერიოდი იცნობს საწარმოთა ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, რომელებიც საბაზრო ცენტროების არსებობის აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენს. ამიტომ არაა შემთხვევით, რომ ოცანა წლების იურიდიულ ღიტერატურაში გამოკვეთულია ამ ეპოქის მუსიკობრივის თრგანიზაციული ფორმები: კომპერატივები, დაწეუბულებები, სააქციო საზოგადოებები და ა.შ. (Исаев И. А. Становление хозяйственной-правовой мысли В СССР (20-е годы). М. 1986. с. 123-132. ამ ვარქას განცემულნება აგრეთვე იურიდიული პირების შეზღუდული უფლებაუნარიანობის პრინციპის წარმოშობა (მაგალითად, Вольф В. Ю. Основы хозяйственного права. М. 1926. с. 19-20.)
9. 1986 წლის 19 ნოემბერს მიღებულ იქნა სსრკ კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, რომელშიც ზუსტად განისაზღვრა სივრცები. სადაც დასაშვები იყო ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა.
10. 1988 წლის 26 მაისს მიღებულ იქნა სსრკ კანონი კომპერაციის შესახებ.
11. თუმცა საბჭოთა სამართალი ცდილობდა უცხოელი პირების მონაწილეობის შექმნილი კრითიკული კატეგორიების მიმართ ფაქტობრივად გამოყენებისა შეზღუდული პასუნისმგებლობის საზოგადოებების პრინციპები. Совместные предприятия, международные объединения и организации на территории СССР. М. 1989.
12. ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი I. 1992 წ. გვ. 12-39.
13. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილება "სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების საქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ" და ა.შ.
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემთხვევებული კომისიის თავმჯდომარე არის ბატონი სერგო ჯორბეგაძე.
15. მეწარმეთა შესახებ კანონის მიღების შემდეგაც ბევრი არაიურისტი მაინც თვლიდა აუცილებელად სავაჭრო კოდექსის მიღებას, თუმცა მათ არ პერნებათ გაცნობიერებული, თუ რა უნდა მოწევსრიგებინა სავაჭრო კოდექსს. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონშემოქმედებით საქმიანობის ერთერთ გვებაში სავაჭრო კოდექსის შემუშავება დავალებული პერნება ვაჭრობის სამინისტროს, მათინ, როცა ამ სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან სავაჭრო კოდექსს არაუერი საერთო არ აქვს.
16. მაგალითად, გერმანიაში 1898 წელს მიღებულ იქნა კანონი შეზღუდული პასუნისმგებლობის საზოგადოებების შესახებ, ხოლო 1965 წელს – სააქციო.